

საქართველოს კანონი

„საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“  
საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1. „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი I, №19, 07/01/2003, მუხ. 126) 24-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობისას; აღნიშნული საქმიანობისას „წითელ ნუსხაში“ შეტანილ მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღება ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მიიღებს გადაწყვეტილებას „წითელ ნუსხაში“ შეტანილ მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღების შესახებ.“

ბ) 2<sup>2</sup> და 2<sup>3</sup> პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2<sup>2</sup>. ამ მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის განხილვის შემდეგ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი განსაკუთრებული შემთხვევების არსებობისას გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეების ან მათი ნაწილების მოპოვების (ბუნებრივი გარემოდან ამოღების) შესახებ.“;

„2<sup>3</sup>. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების თხოვნით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შეიძლება მიმართოს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულმა სამინისტრომ.“

მუხლი 2.

1. ამ კანონის ამოქმედებიდან სამი თვის ვადაში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ უზრუნველყოს კანონქვემდებარე აქტის ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებამდე საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი